

2013-2016 წლებში მთავრობის მივდინებებსა და სარესტორნო ხარჯებზე 335 მილიონი დიახარჯა



IDFI-ის კვლევის მიხედვით, 2013, 2014, 2015 და 2016 წლების ბიუჯეტის შესრულების ანგარიშიდან მთავრობამ მივდინებებსა და წარმომადგენლობით (სარესტორნე, სასაჩუქრე და სხვა) ხარჯებზე 335 მილიონი დარი დახარჯა.

2016 – მივდინებები – **68 მილიონი**, წარმომადგენლობითი ხარჯები – **20.6 მილიონი**

2015 – მივდინებები – **63 მილიონი**, წარმომადგენლობითი ხარჯები – **17.8 მილიონი**

2014 – მივდინებები – **62.4 მილიონი**, წარმომადგენლობითი ხარჯები – **17 მილიონი**

2013 – მივდინებები – **69 მილიონი**, წარმომადგენლობითი ხარჯები – **17 მილიონი**

კვლევაში ასევე ვკითხულობთ, რომ საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით, წარმომადგენლობითი ხარჯები მოიცავს სტუმრების მიღებების, წვეურებების, საექსკურსიო და კურტურულ-სანახაობითი ღონისძიებების, სუვენირების შექმნა/დამზადების, სტუმრების მომსახურების უზრუნველყოფის, და სხვა მსგავს ხარჯებს. წარმომადგენლობითი ხარჯების ზოგად ინსტრუქციას ფინანსთა მინისტრის ბრძანება განსაზღვრავს.

ბრძანების მიხედვით, წარმომადგენლობით ხარჯებზე ვადღებულების აღება შესაძლებელია ორგანიზაციის ხელმძღვანელის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ან უფლებამოსილი პირის გადაწყვეტილების საფუძველზე. 75 საქართველოს კანონმდებლობით არ არის განსაზღვრული საჯარო დაწესებულებების მიერ წარმომადგენლობითი ხარჯების გაწევის ერთიანი წესი, რომელიც მოაწესრიგებდა სტუმრების მიღების ფორმას, მათი კატეგორიების მიხედვით გამასპინძლებასთან თუ საჩუქრების ყიდვასთან დაკავშირებით გასაწევი ხარჯების ზღვრულ ოდენობებს და სხვა საკითხებს.